ოქმი:**ო63.63212672**
თარიღი:**24/09/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 47

ქ. სამტრედია. 21 სექტემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 21 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, კამო კანდელაკი (მ/შ), ბაია იმესაშვილი (მ/შ).

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (10 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, ბიუროს წევრებს გააცნო, ***2021 წლის 20 სექტემბრის*** N62-622126385, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტის განხილვის საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა)ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი„-ს 2020 წლის გეგმაში ვერ იქნა ასახული და შესაბამისად, ვერ აისახა 2021 წლის კრედიტორულ დავალიანებაში COVID 19-ის ინფექციის დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურეობის ღირებულება 12,46 ათ.ლარის ოდენობით, რის გამოც, ვერ მოხერხდა თანამშრომლებზე სახელფასო დავალიანების გაცემა.

2021 წლის 15 ივნისს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლებმა მიმართეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს კუთვნილი შრომითი ანაზღაურების მისაღებად. სარჩელი დაკმაყოფილდა თანამშრომელთა სასარგებლოდ. გამომდინარე აქედან ა.(ა)ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ''საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი" ითხოვს 2020 წლის 18 დეკემბრის # 38 178 განკარგულებით დამტკიცებულ 2021 წლის გეგმაში ცვლილებას. კერძოდ: საკუთარ შემოსავლებში შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 12,46 ათ.ლარით, რომელიც გადატანილი იქნა სხვა ხარჯებში, კერძოდ: სასამართლოებისა და სხვა სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებლო ხარჯებში. სასამართლო გადაწყვეტილება: საქმე N 2/465-2021 წელი. 5 აგვისტო თანახმად. ასევე ითხოვს შიდა მუხლობრივ ცვლილებას, კერძოდ:

1. მიზნობრივი ტრანსფერში შრომის ანაზღაურების მუხლის შემცირებას 0,35 ათ.ლარით, რომელიც გადატანილი იქნას დანამატის მუხლში (მოვალეობის შესრულების) ტრანსპორტის ექსპლოატაციის, მოვლა -შენახვისა და სათადარიგო გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ნაწილების შეძენის ხარჯის 0.2 ათ.ლარით შემცირებას, შესაბამისად, ოფისის მუხლში წყლის ხარჯის 0.2 ათ.ლარით გაზრდას.

2. საკუთარი შემოსავლების მუხლის გაზრდას კორონა ვირუსის კვლევების საოროიენტაციო თანხით 30.0 ათ.ლარით. დანართი # 2 -ში საკუთარი შემოსავლების გეგმის დამატებას: COVID-19 პროგრამის ფარგლებში გაწეული კვლევების ანაზღაურებას 30.0 ათ.ლარით, მ.შ დანართი #3-ში ხარჯების გეგმას დაემატოს: 1. საკუთარ შემოსავლებში თანამდებობრივ სარგოს მუხლში 27.0 ათ.ლარი 2. სამედიცინო ხარჯში 3.0 ათ.ლარი (COVID 19-ის კვლევები).

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა COVID-19-ის გავრცელებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ, აღნიშნა, რომ შემცირებულია დაავადებულთა რაოდენობა და შესაბამისად გარდაცვლილთა რიცხვი. საზოგადოების ნაწილი აცრილია, მაგრამ უნდა გაგრძელდეს, რომ დავამარცხოთ COVID-19.

მ/წლის 4 ოქტომბრიდან ბაგა-ბაღები და სკოლები ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს, 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

2. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2021 წლის 22 სექტემბერს , 10 ^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: ირმა გოგია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი